


140
1956/3



Յ. ռ. յ. ճ. ջ. ճ. ճ.

№ 9

ԼՅՅՅՅՅՅՅՅ
1956



აზა ნახე!

ფოტოგრაფი M. საამოგისა



ს ა რ ე ბ რ ი

საპარტვიზოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
შოვალთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 9

სექტემბერი, 1956 წ.

წალიწალი XXX



პირველი სექტემბერი


სექტემბრის დღიამ ინათა
ზეიმით, გულგახარებით,
კვლავ რეკენ კილიტიდემდე
მშობლიურ სკოლის წარები.

მოდან გოგო-ბიჭები,
მოფრიალებენ ჩანთები.
ზოგმა ზღვისპირი შემოვლო,
ზოგმა მთის მწვანე კალთები.

წაფულის დღეებს მზიანებს
არ დაივიწყებს არავინ,
მაგრამ საღამო აღმწრდელებს,
მშობლიურ სკოლას საღამო!

კვლავ რეკენ სკოლის წარები,
გული წალისით ბრწყინდება.
პირველ სექტემბერს, პირველ წარს,
სწავლის პირველ დღეს დიდება!

პასილ ვაჟაძე





გიორგი ჯიბლაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ახალმა სასწავლო წელმა ბევრი რამ ახალი მოუტანა საბჭოთა სკოლას.

ეს სახელე შეეხო არა მარტო სასწავლო გეგმებს, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, არამედ, სახალხო განათლების სისტემასაც.

წელს პირველად დაიწყეს მუშაობა სრულიად ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელიობითა და-რესტრუქციებში — სკოლა-ინტერნატებში, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად ახალგაზრდობა უნდა აღზარდონ კომუნისტური სულიკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოველყოფელ იდეებზე, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეებზე.

მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლასთან ერთად, წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პოლიტექნიკური განათლებას, მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამომუშავებასა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

ახალ წელს ამ მხრივაც სახელე მოაქვს. ჩვენს რესპუბლიკაში წელს პირველად შეიქმნა სკოლები საწარმოო სწავლებით, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საქმეში. ვინც ამ სკოლას დაამთავრებს, ის სიმწიფის ატეტესტატთან ერთად მიიღებს მოწმობას მისივე სურვილით არჩეული სპეციალობის გარკვეული თანრიგით დაუფლების შესახებ. ამ დარგში ჩვენი მოძიე უკვაისის სახალხო განათლების მუშაებთან კარგი გამოცდილება შეიძინეს და გარკვეული წარმატებებაც მოიპოვეს. ახლა ეს გამოცდილება უნდა განგაზოგადიოთ და ჩვენი სკოლების ცხოვრებაში გამოვიყენოთ.

საბჭოთა სკოლა ზრდის ახალგაზრდობას, რომელსაც სწავლასა და შრომაში თავისი პეროიკული შემართებით მთელი მსოფლიო იცნობს; ზრდის იმ ახალგაზრდობას, რომლის სახელსაც მოწინავე ადამიანები სიამაყის გრძობით წარმოსთქვამენ დედამიწის ყველა კუთხეში, სულერთია სადაც არ უნდა იყოს იგი — ჩრდილოეთის ყინულივანი თუკანის ნაპირებთან, თუ სამხრეთის ცხელი ქვეყნების ქვიშიან უდაბნოში, აომოსავლეთის კაბადონზე, თუ დასავლეთის ჰორიზონტზე.

ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ჩვენი ახალგაზრდობის პასუხისმგებლობას სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის, თავისივე ხალხის წინაშე.

საბჭოთა ახალგაზრდობა ჩვენი ქვეყნის მშენებებასა და სიამაყის წარმოადგენს. იგი საესებით დამსახურებულად იწოდება ნიქიერ. მხნე, შრომისმოყვარე, კომუნისმის ერთგულ ახალგაზრდობად!

ბედნიერია გვა, რომლითაც ეს ახალგაზრდობა მიღის! ბედნიერია საბჭოთა სკოლა, რომელიც ასეთ შესანიშნავ ცვლას უშზადებს ჩვენს აყვავებულ, მშვიდობისმოყვარე, დიდი ლენინის გენიით გაჯანსკრობულ საბჭოთა სამშობლოს.

თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა კომუნისტური

ინსტრუქტი პარტია ხალხისა და მისი საუკეთესო ნაწილის — ახალგაზრდობისათვის, ეს ერთხელ კიდევ ნათელყო პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. ამ გადაწყვეტილებათა ღრმა აზრი, საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა და სიდიადე ჩვენმა მტრებმაც კი ვერ შესძლეს მიეჩქმალათ.


საბჭოთა პარტიის XX ყრილობამ განსაზოგრა, საბჭოთა სკოლას ახალი ძირითადი ამოცანები, დაუბრუნებდა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის გახალხვას, რომ საჭიროა აღმოთფხვრას სკოლასა და პრაქტიკულ ცხოვრებას შორის დღემდე არსებული ხარვეზი, ის დიდი ნაკლა, რაც ხელს უშოდა მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებას.

საბჭოთა სკოლა ახალგაზრდობას აძლევს მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნას, ამავე დროს აზზადებს პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსავლელად. ცოდნის მისაღებად კი საჭიროა გულმოდგინედ ვისწავლოთ, ვიშრომოთ, ვინაიდან სწავლა იგივე შრომაა.

ახალგაზრდობაში მიღებული ცოდნა ყველაზე მტკიცე და მყარია. ეს დიდი ხანი ყველასათვის ცნობილია. ისიც ცნობილია, რომ საჭიროა ახალგაზრდობის დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ ცოდნის შესაძენად, შემდეგ კი ეს ცოდნა გავგაფართოოთ და მოვახმაროთ ქვეყნის კეთილდღეობას. ამისათვის აუცილებელია სწავლასთან ერთად მოსწავლე ახალგაზრდობა მაიჩივოს შრომას. თითოეული მოსწავლე ღრმად უნდა ჩაუთნერგოთ იმის შეგნება, რომ ყველაფერი ძვირფასია, რაც კაცობრიობას გააჩნია, გულმოდგინედ, დაძაბული და დიდა შრომათა შექმნილი. ასეთი შრომის წყალობით შესძლო ადამიანმა შექმნა უზრწყინვალესი მხატვრული შედეგები, განმაცვიფრებელი ქანდაკებები, მომაჯადოებელი მუსიკა, სრა-სასახლებები და ცხოვრების ყველა საკვირველება. შეგნებული შრომის მაგალითებს დიდი ადამიანები გვაძლევენ. დიდი ადამიანები დიდი შრომის მოყვარეები იყვნენ. ისინი, როგორც ატყვიან, დღესა და დამეს დაძაბულ შრომაში უბრალებდნენ. შრომასთან ერთად, ცხადია, საჭიროა კულტურული დასვენება და გართობა.

საბჭოთა ახალგაზრდობა ბედნიერია, რომ კომუნისტურში პარტიამ მას სათანადო პირობები შეუქმნა სწავლისა, შრომისა, კულტურული დასვენებისა და გართობისათვის.

ახალ სასწავლო წელს ახალი სასახლო წარმატებები უნდა მოვიპოვოთ სწავლასა და შრომაში, მოსწავლეთა ინტერნაციონალური აღზრდისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებაში. ამ ამოცანების განხორციელებისათვის საბჭოთა სკოლას დასაბრება უნდა აღმოუჩინოს მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ და უპირველეს ყოვლისა თვით მოსწავლე ახალგაზრდობამ.



შალვა სხინსალი

ნახ. კ. მხარაძისა.

შ ა ვ ა რ დ ე ნ ი

1

... ყველას ძალიან უყვარდა ისინი. ქვრივი თავდადებულად მუშაობდა კოლმეურნიობაში. შვილი კი სანაქებო მოსწავლედ ითვლებოდა მთელს სკოლაში და გაცივითლებიან შემდეგ კარგად მწყემსავდა უბნის ღორებს. მაგრამ კიდევ უფრო იმისათვის უყვარდა ისინი ხალხს, რომ თვითონ დედაშვილს უყვარდათ ძლიერ ერთმანეთი. დედა-შვილის სიყვარული ბუნებრივი ამბავია, მაგრამ განა ყველას ერთნაირად შეუძლია მისი გამოხატვა? კესოს ერთადერთ შვილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. მუდამ სუფთად და კონტად ჩაცმული დაუდიოდა. ხშირად სადილსაც განსაკუთრებულს უმზადებდა და თვალს ადევნებდა თავის დროზე ჭამა თუ არა. რეზოც კარგად გრძნობდა დედის გულის გაუნებებელ სიბოძს და, თუ ყოველთვის ვერ ახერხებდა, რომ ესამოვცნებინა მისთვის, თავის სიყვარულს იმით მაინც გამოხატავდა, რომ ღამით ყოველთვის მის გვერდით ეძინა და ღლისითაც, თუ ერთად იქნებოდნენ სადმე, მუდამ ახლო იყო მიტანსნილი: ხან კალთაში ედო თავი და უსმენდა მის საუბარს მუზობლის ქილებთან; ხან მის მკლავს გადაიდებდა პაწია მხრებზე და ილიაში შეუძვრებოდა წიწილასავით... ხოლო, როდესაც უკვე იმხელა გახდა, რომ დედას გაუტოლდა, თვითონ გადახვევდა ხოლმე ხელს და თავით ბეჭნე დაეყრდნობოდა. ამ დროს კესო, ხშირად, უკმაყოფილოდ შვიშმუშნიდა მხრებს და საყვედურით ეტყობდა: მომიცილდე, შვილო, სად შემიძლია ნაჯიგაი მხრებით მაგოდენა ბიჭის აკიდებაო. რეზოც უშაგოდ ასრულებდა მის თხოვნას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაერთობოდა ლაპარაკში და მისდა უნებურად კვლავ დაეყრდნობოდა დედის მხრებს. „რა დაგემართა ბიჭო! — ნაძალადევი კაპასით შეუწყვრებოდნენ დამსწრენი — მაგოდენა კაცი ხარ და დედას ვერ სცივლებდი. ჯვარში რომ წაიგყვანენ, მაშინ რაღას იზამ?“ „ჯვარში თან წამომყვება, სამზარეულოში კარტოფილს გათლის!“ — დიმილთ მითუგებდა რეზო.

მიუხედავად ასეთი დიდი სიყვარულისა, მეზობლები ხშირად გამხდარან მოწმე დედა-შვილის წყვილებისა, ხოლო ამის მიზეზი მუდამ რეზო იყო.

როდესაც თორმეტი წლის შესრულდა, უკვე ისეთი გამჭირაბი, გამბედავი და მამაცი იყო, რომ ყველა განცვიფრებაში მოჰყავდა. მუდამ ცელქობდა. ეს ისეთი დამახასიათებელი თვისება გახდა მისი, რომ, როდესაც ვინმე დამშვიდებულს დაინახავდა, კმაყოფილებით შენიშნავდა: მაღლობა ღმერთს, რეზო წყნარად არისო. მართალია, თავისი ცელქობით არასდროს განსაკუთრებული შარი და შფოთი ოჯახში არ შემოუტანია, მაგრამ ხშირად ისეთ უცნაურ რამეს მოიმოქმედებდა, რომ თავს ფათერაკში იგდებდა და სიცოცხლეს სასწორზე ედებდა. სწორედ ეს იყო, რომ გულს უღალაჯდა კესოს და ხშირად მოთმინებდაც მისი მოჰყავდა. ამ დროს იგი სახეილენილი, ხელმომუჭული, მრავალმნიშვნელოვანად დაემუქრებოდა შვილს, და გულის მოსაფხანად კარგა მაგრადაც მიაწყევლობდა. რა დაუმშვიდებდა დედას გულს, როცა შვილის თაობაზე ასეთი ამბები ესმოდა ხალხისაგან: „ჩანჩქერთან რომ პიტალო კლდეა, იმაზე ასულა სანაძლოეს გულისთაის. შუამდ რომ მიუღწევია, მეტის შიშით შეხვეწნაინ ბავშვები, უკან ჩამოდო, მაგრამ არ დათანხმებულა, თავამდე ასულა. მერე, რა მიუგია სანაძლოესი? — ერთი ქული ქლიავი?“... მრის ვიავაგლხისო

ლი, დათია, რა გულკეთილი ხარო. დათიასაც სხვებზე მეტად უყვარდა პატარა რეზო და, როდესაც დაუზარელი ბიჭი თვალისდახამხამებაში ქორივით ჩაუჭროლებდა მინდვრად გაფანტულ ღორებს და ერთ ადგილზე შეაჭურხებდა ჭირვეული ჭყვიტინით, მისი სიმკვირცხლით აღტაცებული დათია ნაწყვეტ-ნაწყვეტ იტყოდა ჭრინინით: უპ, შენი ჭირიბე, რა ბიჭია, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრისო.

თითქმის აღარავინ იყო სოფელში, გოგო თუ ბიჭი, რომ დათიას გათლილი ფანდური არა ჰქონოდა. ყველასაგან უყოყმანოდ იღებდა უფასო შეკვეთებს. მიჰქონდა მინდორში იარაღები და მის მიერვე მოწეული, გვიმრით დახურული კოხტა კარავში მთელი დღის განმავლობაში უკაკუნებდა მოუწყინრად. ხელოსნობის დროს იგი მთლიანად განთავისუფლებული იყო ღორების მწყევსისაგან. მის მოვალეობას ის ასრულებდა, ვისი ფანდურიც ითლებოდა.

რაღა თქმა უნდა, რეზოსაც ჰქონდა დათიას მიერ გათლილი ფანდური, ლამაზი ჩუქურთმებით, საგანგებოდ შესრულებული. მაგრამ ფანდურზე მეტად რეზოს მისგანვე გაკეთებული თვითმფრინავის მოდელები მოსწონდა. როდესაც რომელიმე ახალი ტიპის თვითმფრინავი გრუხუნით გაემოუფლიდა მთა-ბარს, რეზო უმალვე მუდარით მივარდებოდა დათიას და კარავიდან გარეთ გამოიყვანდა: „აბა, დათი, გენაცვალე (დათიას ძლიერ უყვარდა, როცა „დათის“ ეძახდნენ), შეხედე როგორია!“ დათიაც თვალდამოსაზრდელზე მეტად გაახლებდა, თვითმფრინავს გულდასმით შეაკვირდებოდა და მეორე დღეს უკვე შვად იყო შესაბამისი მოდელი. რეზო მანინე შედგებავდა მას ლურჯად, სახლის სასურავზე აიტანდა, სადაც მრავალნაირი ზომისა და ფორმის თვითმფრინავთა მთელი ესკადრილია ჰქონდა ჩამჭურვებული, და ადგილს მიუჩენდა. ძალიან უხაროდა, როცა ქარი ერთდროულად აახსრიალებდა მათ პროპელერებს. იგი ამ დროს ოცნებათა ზღაპარულ სამყაროში მიფრინავდა. „რად გინდა, შვილო, მაგდენი აეროპლანი, სასურავს აწინაბე ტყუილად!“ — ხშირად საყვედურით შენიშნავდა კესს. მაგრამ რეზოს ისე ძლიერ უყვარდა თვითმფრინავი და ისე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მფრინავი გამხდარიყო, რომ დღეის საყვედურებს აღარც კი აქცევდა ჯეროვან ყურადღებას. კესს ძალიან არ მოსწონდა ბავშვის ასეთი გადაჭარბებული სიყვარული საჰაერო მანქანისადმი, ძალიან წყნობდა, როცა რეზო იტყოდა მფრინავი უნდა გავხდეთ, მაგრამ იმ იმედით, რომ ჯერ ბავშვობა, სანამ დაუვკაცდებოდა, მანამ, ვინ იცის, რამდენჯერ შეიკვლება ფიჭირო, გადაჭრით არ უტკობადა სასაბითვის შესაფერის ჩხირკედლებსა.

მაგრამ ერთ დღეს ფრიალ მოწყენილი და ყურებჩამაყოფილი დაბრუნდა რეზო შინ. დღის შეკითხვაზე — რა დაგეპართა, ავად ხომ არ ხარო? ბუტბუტით უპასუხა: დათია თბილისში მიდისო.

- თბილისში?!
- ჰო!
- მერე, ვის მიჰყავს?



გამომშვიდობებისას კესომ დედობრივი მზრუნველობით გადაპკოცნა ის და გულურთულად დაულოცა გზა.

- საბჭო გზავნის სახელოსნო სასწავლებელში.
- აბა... კარგია, შვილო, ძალიან კარგი! — ყოყმანი წარმოიტყვა კესომ და უმალვე გადაიტანა სიტყვა: — მერე შენ რა, გწყინს თუ!
- მწყინს, როგორ არა მწყინს, — კრუსუნით მიუგო შვილმა. — რაღა გამაძლენინებს უმისოდ!
- წვინდეს, შვილო, ობოლი ბიჭია პატრონი არა ჰყავს; კაცად გახდინა! — ნადვლიანად წარმოიტყვა კესომ და შემდეგ ხალისიანად ჰკითხა: — განა ცრტა არიან ბიჭები, უმისოდ რომ ვერ გაძლო?
- მერე რა, დათია ყველაზე კარგია.
- იქნებ ის გედარდება აეროპლანებს რომ ვეღარ გაგიკეთებს?

— ეჰ, არა, კაცო! — იწყინა რეზო. რამდენიმე დღის შემდეგ დათია მართლაც წავიდა თბილისში. გამომშვიდობებისას კესომ დედობრივი მზრუნველობით გადაპკოცნა ის და გულურთულად დაულოცა გზა. რეზომ დღის მოქმედებაში მეტი სიახლოვე იგრძნო დათიას მიმართ და ცრემლები ძლივს შეიმშავა.

მინდვრებისაკენ მიშავალი ღორების ჭყვიტინი, მოლონი ბეჭობზე წამოყუნებული ფოთლებმემკვინარი კარავი, მის შვიგით მიმოფანტული მოწითალო-მარავისფერი ნაფოტების გროვა და მათ შორის დაგდებული მუხის კუნძი, რომელზედაც ითლებოდა ფანდურები, ყველაფერი დათიას აგონებდა რეზოს, და მჭმუნვარება იპყრობდა. მხოლოდ მეორე კვირაზე შესასრულა დათიამ

დაპირება; მოვიდა მისი წერილი, რომლის შინაარსიც თანაბრად გამოხატავდა, როგორც სიხარულს, ისე სევდას. იგი დიდად კმაყოფილი იყო სასწავლებლის საყოფაცხოვრებო რეჟიმით: კარგი კვებით, სუფთა ბინით, ახალი ტანსაცმლით და განსაკუთრებით იარაღებით მდიდარი სახელოსნოთი, სადაც, როგორც ტექნიკნიცბოლად, ყველაფერის გაკეთება შეიძლებოდა, რასაც კი ადამიანი მოისურვებდა. მაგრამ, ამავე დროს, იგი დაუფარავად ამუღვანებდა ნახვის ნატვრას არა მარტო ნაცნობ-მეგობრებისას, არამედ მისგან აწ თავმისებრულ სამწყსოსას და კარვისასაც კი, რომელიც ისე გულმოდგინედ შეღობა თბილისს და იელის ტოტებისაგან, რომ აღწამთრებამდეც კი არ დაჩნარდებოდა. მომეწყინაო ძალიან, — იწერებოდა გლეხის ბიჭი, — აქედანვე შეგზარით მომავალ წაფულს, როცა ერთად განახლებთო ყველას.

მაგრამ გავიდა ხანი და შეეჩია დათია ქალაქურ ცხოვრებას. ძველებური სევდით აღარ იგონებდა სოფელს; გულმოდგინედ შეუღვა სახელოსნო საქმიანობას. ახლა კი მის წერილებში თანდათან იჩინა თავი სიტყვებმა: „დაზვა“, „ოსტატი“, „საამქრო“... ერთ-ერთ წერილში კი ჰპირდებოდა რეზოს, რომ გაუყეთებდა ალუმიინისაგან ახალი ტიპის თვითმფრინავს, რომელიც მთლად გაახუნებდა მის ესკადრილიას. ხოლო ეს ამბავი მოხდებოდა მაშინ, როცა შევებულება მისცემდნენ.

მაგრამ აღარ მოსულა დათია სოფლად. მის ბედნიერებას კიდევ სხვა ბედნიერებაც დაემატა: მისი ბიძა, რომელიც ურალში მუშაობდა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, როდესაც დათიას დუხჭირი თავგადასავალი გაი-



ახლა ეს ნივთი ძლიერ ძვირფას და საყვარელ საჩუქარს წარმოადგენდა მისთვის.

გო, სოფელში აღარ გაუშვა და საგარეოდ წაღებში გაგზავნა, სადაც მისი სახლობდა სხვენებდა. ამიტომ რეზოსადმი მიცემული პირების შესრულება დათიას პირადი წარდგინების გარეშე მოუხდა. დიდელასათვის მშენებური ამანათი შეეკრა, რომელშიაც რეზოს თვითმფრინავიც აღმოჩნდა.

მოდელი, შეპირებისამებრ, ალუმინისაგან დემზადებინა. საკმაოდ პატარა, მსუბუქი, მაგრამ უცნაური იყო: ტანი თითისტარის მიუგავდა, ყანწის ბოლოსავით აცქვეტილი კუდიით ბოლოვდებოდა. ხოლო ფრთები ისე ჰქონდა მოზრდილი უკან, როგორც სხვევარბისაკენ მოხსნეტილ შავარდენს. ერთი სიტყვით, ძალიან ჰგავდა ზოლოდოგის წიგნში ჩანატული მტაცებელ თევზს — ზვიგენს. მაგრამ უფრო მეტად ის იყო საკვირველი, რომ მოდელს თვითმფრინავისათვის დაბაზასათებელი ნაწილი — პროპელერი არ გაჩნდა.

რეზომ საკმაოდ ამრეზით შეათვალთვინა საჩუქარი და მისი უცნაურობანი დათიას გამეტყობებს მიაწერა. მაგრამ რაკი ქვემოლან ფრთებზე გულმოდგინედ ეწერა „სახსოვრად რეზოს დათიასაგან“, სათრი შეინახა და მოდელს თავის მაგიდაზე მიუჩინა ადგილი.

მაგრამ გავიდა დრო და ერთ დღეს რეზო სისარულით გახსივოსნებული დაბრუნდა შინ. ახლა ეს ნივთი ძლიერ ძვირფას და საყვარელ საჩუქარს წარმოადგენდა მისთვის, რადგან, რამდენიმე წუთის წინ სწორედ ისეთივე ფორმის თვითმფრინავი დაინახა ჰაერში. ახლა მოდელი უკვე აღარ წარმოადგენდა განგებ დაშვებულ სიმანინჯის განსახიერებას.

სალამოს რეზო აღტაცებით უყვებოდა დედას ამ სასიხარულო ამბავს. ლაპარაკის დროს მთელი შესამდებლობით ცდილობდა განესახიერებინა, თუ როგორ მისრიალებდა ცაზე სწრაფი და ბროლივით მოლაბლამე თვითმფრინავი, როგორ გრგვინავდა მძღვარი, სასამოფნო სპით და როგორ ტოვებდა სივრცეში ხუჭუჭა ზოლად ბამბასავით თეთრ ბოლს... მაგრამ კესო თითქმის არც კი უგდებდა ყურს დაუსრულებლად მოტიკტიკე შვილს და თუ ათვალთვრებდა თავიდან ბოლომდე მზრუნველი თვალთ, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ შეემოწმებინა კარგად: ხომ არაფერი აკლდა ბავშვს ან ფეხებ, ან ტანს, და საერთოდ, ხომ არაფერი ჰქონდა ურიოდ. ის მარტო მაშინ გამოეხმაურა შვილის ლაპარაკს, როცა მან გადაჭრით განაცხადა: უთუოდ მფრინავი უნდა გავხდეო.

— ეშ, შვილო, მიწაზე ძალიან დინჯად იქცევი და ცაში ხომ რაღა...

— რად იცი, დედი, მუდამ აგრე, ჰა? — წყნით მიუგო რეზომ, — აბა, ერთი მითხარი, როდის მოვიტენე კისერი!

— კისერი არა, მაგრამ ფეხი კი — დინჯად მიუგო კესომ.

— ის რა მოტენა იყო, ცოტათი ვიღრძე.

— ერთი კვრა კი ასკინკლის ცეკვავდი და...

— მერე რა, ჩემი სიჯაბნით ხომ არ მომსგლია, — თბილამური გატყდა.

— მანქანაც შეიძლება გაფუჭდეს, ჩემო კარგო!

მერე ისიც სად — ჰერწო. —
კვლავ მოუჭრა დედამ.

— შე, კესო, — წაიმდერა რე-
წომ, — იმას განა ერთი მოტორი
აქვს ერთი გაფუჭდება, მეორე
იმუშავებს, მეორე გაფუჭდება —
მესამე, და მიხვალ ადგილას.

— დათიას გამოგზავნილს რან-
დენი მოტორი აქვს? — ფარული
იუმორით ჰკითხა კესომ, რადგან
რეწო განუწყვეტლივ ჩაჰკირკი-
ტებდა მოტორს.

— იმაში არცა ვვადები! —
უმალევი მოუჭრა ბავშვმა.

— არა, შვილო, თავი დაანებე
მაგ უნაყოფო ოცნებას. ახლა
უკვე საკმაოდ მოწრდილი ხარ,
ჰკუა მოგთხოვება. რა მემფრი-
ნავება, დღეებს თითებზე ვითვ-
ლი და ვნატრობ როდის იქნება
შენც კაცად გამოსული...

— მერე განა!..

— სუ! მათქმევინე სიტყვა! — შეუწყრა კესო
და წარბი შეკრა. ხოლო, როდესაც დააწყანარა,
აგდებულად განაგრძო: — მფრინავი უნდა ვახ-
დეს, ბიჭი!

ბოლო დროს, როცა კი რეწო ფრენაზე ჩამოაგ-
დებდა სიტყვას, მათი საუბარი მუდამ წალაპარაკ-
ებით მთარგმნებოდა: მარბოლაც და, რა ემფრინა-
ვებოდა კესოს? მას უნდოდა რაც შეიძლებოდა
მაღე დეყენებინა შვილი, როგორც თვითონ ამ-
ბობდა, ჰკვიანურ და საიმედო გზაზე, რის შემ-
დგაც დაუწყნარდებოდა გული. გადაწყვეტილი
ჰქონდა ქალაქში გაეგზავნა მამიდასთან, რომე-
ლიც დიდი ხანია ჰპირდებოდა, როგორც კი დაამ-
თავრებს რვაწლივს, ჩემთან წავიყვანო. ექ რეწო,
კესოს ვარაუდით, შევიდოდა რომელიმე „კარგ
ტექნიკუმში“, დამთავრებდა მას, დაიწყებდა სამ-
სახურს და უმადლეს სასწავლებელში დაუსწრე-
ბელ განყოფილებაზე განაგრძობდა სწავლას.
რეწო არ იყო უგნური ბიჭი და კარგად ხედავდა,
რომ დედა ერთი მხრივ სამართლიანად სჯიდა, —
ყოველ შემთხვევაში ისე, როგორც მისი დედური
გული უკანასკნელად; ამიტომ იგი თავს ანებებდა
მშობელთან კამათს, მაგრამ გუნებაში დაუინე-
ბით ამბობდა: ჯვარში ხომ გამიწვევენ — უსათუოდ
ავიციოაში წავალო.

ახე გავიდა ხანი.

4

დათიამ სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა
და ქარხანაში გადავიდა სამუშაოდ. ამ ხნის გან-
მავლობაში მხოლოდ ერთხელ იყო სოფლად,
ისიც იმისთვის, რომ დიდება გარდაეცვალა.

გამოცვლილიყო ძალიან. ლითონის დიდებოანი
ლურჯი ტანსაცმელი და ტყავის მკვრივი ფეხ-
საცმელები ეცვა. დავაჟაცებუდიყო. სიმაღლეში



რეწოს მხოლოდ უბნის ღორები დაჰყავ-
და საძოვარზე.

ბეჭრი არაფერი ემატნა, მაგრამ სიგანეში დასრუ-
ლებულიყო. რბილი და თხელი უღვაშები აწლო-
და. ლაპარაკის დროს თბილისურ კილოზე უქ-
ცივდა. უკვე ყალიბში მოყვანილ ქორჩრს მალი-
მალ ივარცხნოდა მწვანე სავარცხლით და ნამაღე-
ვად პატარა მრგვალ სარკეშიც იცქირებოდა.
ძველი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებიდან
მხოლოდ გულკეთილი ღიმილი და თვალების
ჭუტვა შერჩენოდა, ნამამინარევი ბოხი ხმა კი
დაწმენილი, მოგუგუნე ბანით შესცვლიდა.

ბოლო დროს ხმები დადიოდა სოფელში: დათია
ცოლს ირთავსო, მაგრამ არავის სჯეროდა. თვითონ
კი უკანასკნელად გამოგზავნილ წერილში ამის შე-
სახებ არაფერს იტყობინებოდა...

მაღე რეწომაც დაამთავრა რვაწლიანი სკოლა.
სულონის მოწმობით სიამაყით წარსდგა დედის
წინაშე. დედამ ემყოფილი ღიმილით ჩაათვალიერა
ლამაზად შევსებული პრილა ფურცელი და მიუ-
ლოცა შვილს. მან წინდაწინვე იცოდა ეს ამბავი,
რადგან მასწავლებლებმა პირველად თვითონ მას
მიულოცეს შვილის წარმატება და, როგორც სამა-
გალითომ მშობელს, მაღლობაც გამოუცხადეს. მაგ-
რამ ახლა უფრო სხვა იყო დედის სიხარული:
„დახლოებით ერთი ადენიც და, — ფიქრობდა დე-
და, — უკვე ვაჟკაცი შვილი მეყოლებას“.

ახლა კი მთელი სიგრძე-სიგანით მიდგა საქმე
„კარგი ტექნიკუმის“ ამორჩევაზე, რაზედაც დედა-
შვილს დიდი ომი მოუხდათ. რეწოს, რაკი თვით-
მფრინავი ძლიერ უყვარდა, მაგრამ საფრენოსნო
სკოლაში შესვლის უფლებას სიცოცხლის ფასადაც
არავინ აძლევდა, ისდა დარჩენოდა, — საავიაციო
ტექნიკუმში მაინც უნდასულიყო. მაგრამ აქაც სას-
ტიკ უარზე დაუდგა კესო და ისე დაემუქრა ბიჭს
რომ ავიაციაზე კი არა, კინაღამ ქალაქში წასვლა-
ზეც აადებინა ხელი. ბოლოს, ისე გართულდა საქ-

მე, რომ რეზომ სკოლის დირექტორი მიუგზავნა დედას, რომელმაც ძლივს დაარწმუნა გაღარჯულ-ლებული ქალი, რომ საავიაციო ტექნიკუმში მფრინავებს კი არ ამზადებენ, არამედ თვითმფრინავის მკეთებელ ტექნიკოსებს. და, რადგან გავითში გამოკვეთნებული განცხადებაც ტექნიკუმში შემსვლელთათვის სასურველ პირობებს იწუქებოდა, კესო როგორც იქნა დაჰაბულდა.

ისლა დაჩენიდათ, — მამიდას დალოდებოდნენ, რომელმაც ჯერ კიდევ ზამთარშივე აცნობა მათ, რომ ამ ზაფხულს უთუოდ მოვიდოდა სოფლად, ერთი თვით მანაც, ინახულებდა მათაც და უკან დაბრუნებისას თან წაიყვანდა რეზო.

მაღე მოვიდა ის დროც. დედა-შვილი დღე-ღღე ელოდა ძვირფას სტუმარს, მაგრამ როგორღაც აგვიანებდა ის და მოსვლის შესახებაც არაფერს იტყობინებოდა. კესო არ ნადვლობდა პირველად ამ გარემოებას, რადგან მტკიცედ იყო დაიმედებული მამიდას დაპირებით. მაგრამ, როცა უკვე ისე შეაგვიანდა მას, რომ, თითქმის საბუთების შეტანის ვალაც გადიოდა, შეფორიაქდა ერთობ. შეფორიაქდა რეზოც: ყველა ჩემმა ამხანაგმა რამდენი ხანია უკვე დანამდვილებით იცის საღაც უნდა ისწავლოს და კიდევ ემზადება, მე კი ჯერ საბუთებით არსად მიმოტანიაო.

კესომ გადაწყვიტა სასწრაფო დებუა გაეგზავნა ამბის გასაგებად და ის იყო, გაეშურა კიდევ ფოსტისაკენ, რომ გზაზე მერხობლის ქალი შემოხვდა და მისგან საკმაოდ სამწუხარო ამბავი გაიგო. იგი წინადღით სახაზროდ ყოფილიყო დაბაში. „სოიუზტრანსის“ კანტორის წინ ენახა რეზოს მამიდა — მანქანის მოლოდინში თოკებგადაქაჩულ ჩემოდნებთან იღვა. თვალი აშარდაო, გულისტკივილით ეუბნებოდა კესოს მერხობელი, მაგრამ ჩემი არ დავიშალე და გამოვეცანო. რეზოზე რომ ჩამოვუგდე ლაპარაკი, წუწუნით მითხრა: ძალიან დარდი მაქვს ჩემი ძმისშვილისაც და რძლისაც, მაგრამ რა ვქნა, ჩემო დაო, ნამეტანი ვიწრო ბინა გვაქვს და ჩვენც ძლივს ვეტევითო შიგ. მომავალი წლისათვის ვფიქრობთ გავაფართოვოთ და იქნებ მაშინ წაიყვანოთო რეზო. ღმერთმანი, მეტი სირცხვილით ვეღარც კი გავბედე მისგლა, მათი უნახავი ვბრუნდებიო ქალაქში.

ასე უცაბედად უფრო ცუდს ველარაფერს გაიგებდა კესო. ფერი დაეკარგა საწყალს, ენა დაება და მწუხარებით დანაოკებულ სახეზე მწარე ღიმილი შეეყინა. „იი დალოცვილს, წერილით მაინც ეცნობებინა!“ — ესლა თქვა და წელმოწყვეტილი გაბრუნდა შინისკენ. უკან აღევნებული მერხობელი ცდილობდა როგორმე ენუგეშებინა, მაგრამ კესოს აღარც კი ესმოდა მისი სიტყვები; იგი ახლა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ გაემუღავნებინა შვილისათვის ეს ამბავი.

(დასასრული შემდგომ ნომერში)



ი. გიგიაშვილი

წერილი აგარაკიდან

მიყვარს ჩვენი სოფელი,
გაზაფხულის ბუნება
და წკრიალა წყაროს წყლის
პირზე შეშხაბუნება.

ყოველ დილით ვვარჯიშობთ,
გავიბარე კუნთები,
ჩემო კარგო ბებიო,
ჩქარა დაგბრუნდები!

დედას ვფიცავ, მახსოვარ,
შენ გიგონებ ყოველთვის, —
ჩაის ფოთოლს მეცა ვკრეფ,
ვეხმარები კოლეტივს.

სწავლას რაც შეეხება,
ჩემი ნუ გეფიქრება,
ხუთებს თუ ვერ მივიღებ,
ოთხები ხომ იქნება.

ნახ.კ. მახარაძისა



ქანგალას თავკალასკალი

5. შალო კოცონი

ბოლოს ერთმა უჯრემმა, რომლის კიდესაც მე შეუძენველად შევეხე და მეორე მხარეს გასრიალებას ვაპირებდი, თავისკენ მიმიზიდა, შემდეგ ჩეღელი გახსნა და თავის სხეულში გამომამწყვდია. წინასწარ ვგრძნობდი, რომ აქ რაღაც უფრო რთული და სასიში უნდა მომხდარიყო. ეს უჯრედი, რომელშიც მე ახლა ვიმყოფებოდი, არაფრით არ გავაღამ წითელი ციხე-კოშკის, რომელმაც ამ თეთრ მდინარემდე მიმიყვანა. იგი უძრავად იყო გაჩერებული ერთ ადგილას. მის სხეულში მოხვედრისთანავე ცხელმა ალმა დამარია ტანში. ისე ცხელია, რომ, გეგონებოდათ საღვთო კოცონი დაუჩნთათ და არემაჩეს ცეცხლი მოსდებიათ.

მალე შევიძინე, რომ უჯრედი, რომელშიაც მე ახლა ვიყავი, უმოძრაოდ კი არ იყო გაჩერებული, როგორც ეს აღეჩენებოდა, არამედ, პირიქით, მისი სხეული წამოაღწევი იცვლებოდა. ხან შეიკუმშებოდა და ბურთივით მომრგვალებოდა, ხან კი გაიშლებოდა და გაგრძელებოდა.

ჩემს თავში მრავალი კითხვა იბრია: რა იწვევს აქ? რა ამუშავებს ამ უჯრედს? რატომ მომიყვანეს აქ? და სხვა მრავალი.

მე ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ვათვალისწინებდი; თუმცა ყველაფრის გაგება, რაც იქ მოხდა, მეტად ძნელია, მაგრამ ცოტა რამ მაინც დავიმასსოვრე. რაც ამ ახალ, უფოთიან უჯრედში მოვხვდი, მას შემდეგ მოსვენება არ მქონია. ერთი რაღაცა რომ მომიტაცებდა და სხვას გადამიცემდა, ეს უკანასკნელი კიდევ მეორეს ყებებში მაგდებდა, და ასე გაუთავებლად...

რასაც კი დავტყავებოდი, მასიხე ვხლუჩიდი და ნაწილებად ვაქცევდი. ეს რა ძალა მქონია-მეთქი, ვამბობდი გუნებაში. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი ასეთი მოქმედებით ვწვავდი და ვბუფავ-



ლი იქ ყველაფერს, რასაც კი ვეხებოდი. ის სითბოც, რომელიც იქ ტრიალებდა, სხვა ნივთიერებებთან ჩემი შეერთებით წარმოიშვებოდა. ეს ნივთიერებები თანდათანობით იშლებოდნენ და ათავისუფლებდნენ იმ სითბოს, რომელიც მათ მზისაგან მიიღეს. ჩემს გარეშე მათ სითბოს გათავისუფლება არ შეეძლოთ; ხოლო თუ სითბო არ იქნებოდა, ეს უჯრედი ვერ შეიკუმშებოდა; ხოლო თუ უჯრედი არ იმუშავებდა, ორგანიზმიც ვერ იმუშავებდა.

გავიგე ეს და ახლა უკვე ჩემთვის ცხადი გახდა, თუ რატომ მომწყვდნეს ცის ლაქვარდს და, ამდენი ხერხებისა და მდინარეების გამოვლის შემდეგ, აქ შემომავდეს. შემომავდეს და კარი დამიხურეს.

მე ძალიან ბევრ ადგილზე გადავინაცვლე; ბოლოს გზაზე ნახშირორქანაგა შემიჩხა, შემიჩხა და ისე მაგრად მოვხვიე ხელები, რომ ჩვენი დაცილება არცერთ ძალას აიარ შეეძლო. ჩვენი შეერთებით კოცონს კოცონი მიემატა, სითბოს — სითბო, და მეც წვლილი შევიტანე ხის ქვეშ წამოწოლილი პატარა ცუგარუმელას სიცოცხლეში.

პატარა ბიჭის გახსენებაზე მისი სიტყვები მომაგონდა: „ქანგალასის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია“. გამეხარა, თურმე ჩემზე წინგებშიც წერენ.

მე და ნახშირორქანაგა ახლა უკვე განუყრელად დაუქვამურიდით ერთმანეთს. ხელიხელგადახვეულებმა რამდენჯერმე მოვიარეთ ჩვენი ადგილსამყოფელი. ჩვენ მტკიცე ფიცი დავდეთ, რომ ერთმანეთს არ დავცილებოდით და გაჭირვება თუ დაღიხნება ერთად გადაგვეტანა.

ასეთ პირობას რომ ვეძებდით, უნებურად შენის თავი გამაძინენდა, — და ქანგალამ თავი ნახშირორქანაგასკენ მიატრიალა, — ხომ გახსოვრ, ჩვენც ასე ვეფიცებოდით სულ პირველად რომ შევეხვდით, მაგრამ ბედმა ჩვენ ეს არ გავვიძიართლა და ჩქარა დავაცილა ერთმანეთს. ასე დამეძინათა ამ ჩემ ახალ მეგობართანაც, რომელთანაც წმინდა კოცონმა შემაერთა. ამის შესახებ დაწვრილებით ცოტა ხნის შემდეგ ვეტყვიო, ახლა კი ჩვენი ამბავი გავაგრძელოთ.

6. ისევ თეთრი და ალისფერი მდინარის ტალღებში

ჩვენ სრულიად მოულოდნელად გამოვძვერთ გავარჯერებული უჯრედის კედლიდან და ხელახლა სითხის თავთხვე ნაკადში მოვხვებით. სითხის წვეთები მე და ნახშირორქანაგას სულ უფრო და უფრო გვაშორებდა ჩვენს უჯრედს. ჩვენ ორივემ რამდენჯერმე მივიხილეთ უჯრ. ერთი მხრივ კი-



რაც ამ ახალ, შფოთიან უჯრედში მოგხვდით, მას შემდეგ მოსვენება არ მქონია.

დღე გვენანებოდა იმ ადგილის დაცილება, სადაც ჩვენ ერთმანეთს განუყრელი მიგობრობა შეგფიცეთ.

თეთრი სითხის ზანტად და თითქმის შეუშინებლად მოძრავ წვეთებს გზადგზა სხვადასხვა მხრიდან ახალ-ახალი წვეთები ემატებოდა და მათი შეერთებით საკმაოდ დიდი ნაკადი წარმოიშვა.

ახლა კი მივხვდი სად იწყებოდა ალისფერი მდინარის სათავეები. მაგრამ, როგორც ადრე ვითხარობ, ვასაკვირი ის იყო, რომ ჩვენი ნაკადი ისევე თეთრი ფერისა იყო და შიგ არც წითელი ფერის ბურთულები დატურავდნენ. ნეტავ სად არის ჩემი ალისფერი ციხე-კოშკი? — გავიფიქრე გუნებაში და ნახშირორქანგას შევხედე. ფიქრებიდან გამოჩვეულმა მანაც შემომხედა და ჩვენი გზა განვაგრძეთ.

ფიქრებში გართულებმა ვერც კი შევამჩნიეთ, თუ ჩვენი თეთრი მდინარე როგორ მოექცა თხელკედლიანი ძარღვის შიგნით. ისევ ეს სულისშემბნოთავი კედლები! — გავიფიქრე ჩემთვის და ნახშირორქანგასთან ერთად თამამად გავცურე წინ. ჩვენი ვიწრო სა-

დინარი თანდათან ფართოვდებოდა და პატარა ნაკადი აზვირთებულ მდინარედ იქცა. რაც უფრო წინ მივიწვედით, იმდენად სულ ახალი და ახალი მდინარის ტალღები ვერეთდებოდნენ და ჩვენთან ერთად ავრძელებდნენ გზას — ვინ იცის საით.

მდინარის კალაპოტი თანდათანობით გამსხვილდა და აზვირთებულ თეთრი მდინარე ალისფერი მდინარეში გადაეშვა. გადაეშვა და წითელმა მდინარემ იგი ჩანთქა. მე ირვლევი მიმოვიხიდე და აღუარებელი წითელი ბურთულო დავინახე. ზოგ მათგანს სულ ახლოს ჩავუარეთ. ვერ იქნა და ვერ ვიცანი რომელი იყო ჩემი ციხე-კოშკი. აღმათ წინ გამასწრომეთქი, გავიფიქრე გუნებაში და ძეხნასაც თავი დავანებე. სიძარბოვით გითხრათ, არც მინდოდა ისევ მის გულგვამში მოხვედრა და ბორკილების დაღება. ჩვენ ისედაც არხეინად მივცურავდით ტალღებზე. მალე შევნიშნე, რომ წითელ ბურთულებს რატომღაც აღარინდელი სიწითლე დაჰკარგოდა და ოდნავად მოლურჯო ფერი გადაჰკეროდა. მდინარეც ადარ იყო ისეთი კაშკაშა ფერის,

როგორც მაშინ, მე რომ ჩემი ციხე-კოშკით უჯრედებისაყენ მივქროდი. მე და ნახშირორქანგა უფრო კარგად დავაკვირდით წითელ ბურთულებს და უცბად მათ შიგნით ბევრი ჩვენი ნაცნობი შევამჩნიეთ. იქ მრავალ უანგბადასა და ნახშირორქანგას ერთმანეთისათვის ხელეუბნი გადარჩებოდა, წითელი ბურთულები წინ მიჰაქანებდნენ მათ.

— უთუოდ ბორკილები ექნებათ დაღებულნი, — ვუთხარი ნახშირორქანგას. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

გვერდით ძალიან ბევრმა წითელმა ბურთულამ ჩავვარია, ჩავვარია და გზა ვანგრძობ. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. არც ჩვენ გვეპიტნავებოდა მათი ყურადღება. სისხლის ძარღვი კი სულ უფრო მეტად ფართოვდებოდა და დიდებოდა.


ამ გზით ჩვენ ერთ ხანს კიდევ ვიარეთ და ბოლოს ეს ამოღენა მდინარე ერთ დიდ ღრუში მითიდან დაქანებული ზვავით გადაეშვა. ვადაეშვა და ღრუ თვალის დახამამებაში ამოავსო. მე და ნახშირორქანგა სულ ქვევით მოვეჩქეცი და გავინახეთ. აქედან წამსვე მეორე ღრუში გადავცისროლა უხილავმა ძალამ. მე გამასხენდა, რომ ამ ადგილას ადრე გამოვიარე — აი, მაშინ, უჯრედებისაყენ რომ მიმაქანებდა ჩემი ალისფერი ციხე-კოშკი. დიახ, ეს გული იყო. ამ გულის შეკუმშვის ძალამ გადამისროლა იქ, სადაც კოცონი დავანათე და შენ განუყრელი დავიკავშირდი-მეთქი, — ვუთხარი ნახშირორქანგას. მეც გამივლიათ ეს ადგილი, — ჩურჩულეთ მითხრა ნახშირორქანგამ.

საოცარი მომქმედით ყოფილა ეს გული, — მგრძნობიარედ თქვა ქანებლამ და აზოტასა და ნახშირორქანგას გადახედა. ორივენი სულგანახალული უსმენდნენ ქანებადას.

ქანებადამ განავარძო: — მოთლიანი გული თურმე ორ მარცხენა და მარჯვენა ნახევრებად იყოფა. მარცხენა ნახევარი სისხლს ფილტვებშია რომ მიიღებს, უჯრედებისაყენ გადაისყვრის, ხოლო მარჯვენა ნახევარ

სისხლს ქსოვილებიდან რომ მიიღებს, ფილტვებისაკენ გადაისვრის და მისი გაფართოებისა და შეკუმშვის წყალობით ალისფერი მდინარე განუწყვეტლოვ მოგზაურობს აღამიანის სხეულში. ფილტვებიდან სისხლს უჯრედებში უთვალავი რაოდენობით მიაქვს ენგზადი, რათა იქ განუწყვეტლად გიზგიზებდეს უალო კოცონი, ხოლო უჯრედებიდან გამოაქვს ის ნაწილები, რაც ორგანიზმს აღარ სჭირდება. და აი ჩვენც, მე და ნახშირორქანგამ, ამ უჯრედებიდან მობრუნებულიებმა, გულის მარჯვენა მხარის ორივე ღრუ გავიარეთ და ძლიერი ტალღით შევიწროებულ მილში მოვხვდით. სისხლის ძარღვი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და გზადაგზა მრავალ ტოტად იყოფოდა. ბოლოს ჩვენ მეტად შევიწროვებულ სანათურში მოვხვდით, ამ სანათურში სისხლის წითელი ბუთრთულები თითო-თითოდ ძლივს ეტეოდნენ და ხანდახან უცნაურად წკარქელდებოდნენ ხოლმე, რომ როგორმე ხვრელში გამძვრალიყვნენ. მე გამახსენდა, რომ ამ ადგილას ძალიან ადრე გამოვიარე. ეს მაშინ იყო, როცა ფილტვებიდან ალისფერი მდინარის ტალღებში მოვხვდი და ჩემმა ხათვლმა ციხეკოშკმა პირი მყოფ და თავის სხეულში მიმამწყვდია. ნამდვილად ის ადგილია-მეთქი, — სიხარულით წამოვიძახე და ნახშირორქანგას უფრო მაგრად მოვხვიე ხელები.

ამ ამბავში რომ ვიყავი, უცბად მე და ნახშირორქანგა რაღაცამ



...სრულიად მოულოდნელად გამოვძვრიეთ გავარჯერებული უჯრედის კედლიდან და ბელახა სიბიზის თხელ ნაკადში მოვხვდით.

მიგვიზიდა და მოულოდნელად ნაზი კედლიდან გარეთ გამოვძვარიეთ. ჩემს გაოცებას სასლფარი არა ჰქონდა, როცა დავარწმუნდი, რომ ჩვენ ფილტვის სწორედ იმ თხელ და ნაზ კედლიდან, ყურძინის მარცვლის ფორმის მჭონე ღრუში ვიყავით, რომლიდანაც მე პირველად ალისფერი მდინარის ტალღებში მოვხვდი.

ახლა კი ჩემთვის ცხადი იყო, რომ მე და ნახშირორქანგას სხეულიდან გარეთ გვედევნიდნენ. გულში სიხარული ვეღარ დავიძვრე და აღტაცებულმა ტამი შემოვკარი. ნახშირორქანგას გაუყვირდა ჩემი ასეთი სიმხიარულე. ნამდვილად მოკამამე ცის ლაყვარლისაკენ მივდივართ-მეთქი, მშობილო, — თითქმის ყვირლით ვუთხარი ნახშირორქანგას და მკლავები ისე მოვუჭირე, რომ მას ტკევილისაგან სახე დაეღმიე. ჩვენ რამდენიმე შევიწროვებ


ული ხვრელი გამოვიარეთ. ხვრელები თანდათან ფართოვდებოდა და რაც უფრო ზევით ვიწვედი, სულ უფრო და უფრო მეტად ვგრძნობდი ცივი ჰაერის სიახლოვეს.

მე ამ გზებს ძალიან კარგად ვიცნობდი. ნახშირორქანგასათვის კი ეს ყველაფერი უცნობი იყო. მან მიხნა, რომ იგი სულ სხვა გზით მოხდა ამ ცელქის სხეულში. ალისფერი მდინარის ტალღებით კი მანაც მიმოგზაურა ერთ ხანს. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ იგი თავის თავგადასავალს მაშინ მომიყვებოდა, როდესაც ცის ლაყვარლში თავისუფლად ვესეინებდით. ამასობაში ჩვენ სულ უფრო და უფრო ფართო ხვრელში გადავდიოდით და სულ ზევით და ზევით ვიწვედით. ნამდვილია, ნამდვილია! — აღფრთოვანებულმა წამოვიძახე, როდესაც ორი დიდი ხვრელი ერთ ფართო მილად შეერთდა და ჩვენ უფრო თავისუფლად გამოვიწვით ზევით. ეს ფართო მილი ის ტრაქეა იყო, რომელიც მე ძალიან ადრე გავიარე.

ნახშირორქანგა გამხიარულდა. იგი დარწმუნდა, რომ ეს ბნელი ჯურღუმელები ჩქარა დამთავრდებოდა და ცის მოკამამე ლაყვარლში გასეინებდა გველისებოდა.

ეს ნანატრი ღროც ძალიან მალე დადგა.

ჩვენ კიდევ რამდენიმე ხვრელი გამოვიარეთ და უკვე გარეთ ვიყავით!



ბოლოს გზაზე ნახშირორქანგა შემერხა და ისე მაგრად მოვხვიე ხელები, რომ ჩვენი დაცვილება არც ერთ ძალას არ შეეძლო.

7. ისევ ლაშქარში

ქნელი გამოსათქმელია ის სიხარული, რაც ჩვენ განვიცადეთ. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, თუ რა ფასდაუღებელი ბედნიერება ყოფილა ლაშქარში ყოფნა. მართალი ვითხარათ, ამას ადრე ვერც ვგრძნობდი და ვერც ვაფასებდი. როდესაც მე და ნახშირორქანგამ პატარა ცელქის სხეული დავტოვეთ, უტბად ვიღაცის ხმა მოგვესმა:


— აბა, არჩილ, მოყევი გაქვეთილი!

ჩვენ ჰაერის მაღალ ფენებში ავიწიეთ და უკან მოვიხედეთ, მოვიხედეთ და გაოცებული დავრჩით.

აქ სადა ვარ-მეთქი, — გავიფიქრე და ნახშირორქანგას შევეყვითე ამ არემარის შესახებ. მან პასუხადა მხრები აიჩეჩა.


როდესაც მერჩებთან მჯდომ პატარა ბავშვებს გადავხედე და მათ წინ მაგიდასთან დამდგარი ხანშიშესული ქალი დავინახე, მივხვდი, რომ საკლასო თათხში ვიყავით. ჩვენ გაღებულ ფანჯარა შევინახეთ და იქით გავწიეთ. მართალი ვითხარათ, მეშინოდა კიდეც რომელიმეს სხეულში არ მომხდომოდა მოგზაურობა.

ფანჯარასთან მისულებმა ერთხელ კიდეც მოვიხედეთ უკან. მოვიხედეთ და არჩილის სიტყვები გავიგონე: „ჯანგაღის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. მას ჩვენ გარემოდან ფილტვების საშუალებით ვღებულობთ. შემდეგ...“ — აქ მას რაღაც დაავიწყ-



ეს ფართო მილი ტრაქია იყო, რომელიც მე ძალიან ადრე გამოვიარე.

და და გვერდზე გადაიხედა. მე უნებურად ის ბალი და ალუბალი გამახსენდა, სადაც პირველად პატარას გავვეცანი და ამ სიტყვებით მოხიბლულმა მის ცხვირწინ დავიწყე ხტუნვა-თამაში. არჩილი ისევ გაჩურჩებულ იყო და არაფერს ამბობდა. იგი რაღაც საწყლად იხედებოდა აქეთ-იქით. გავიფიქრე: მივალ და ყურში ჩაუჭურჩურჩულე რაც მის სხეულში თავს ვაღამხნა-მეთქი, მაგრამ შეშინებდა ისევ ყლაპი არ მიყოფილიყო და გაღებულ ფანჯრიდან გარეთ გამოვედით.



ფოთოლზე რომ მოვიკალათეთ, მე რატომღაც ჩემი თავდასავალი გამახსენდა.

სასიამოვნო იყო ტყის მოშორებულ ფოთლებს ზღვაზე სეირნობა. არ მახსოვს რამდენ ხანს დამტოვლიდა ასე. მზის სხივების სითბო უზვად ვგრძევეოდა არემარეს. ცის ლაყვარლი სეირნობით გული რომ ვიჯერებო, ხელახლა მწვანე ფოთლებს მივაშურეთ.

ფოთოლზე რომ მოვიკალათეთ, მე რატომღაც ჩემი თავდასავალი გამახსენდა, გამახსენდა და დავრწმუნდი, რომ ჩემს გარეშე არცერთ სულდგმულს სიცოცხლე მართლაც არ შეუძლია. ამან უფრო მეტი სიამაყე შემმატა და ნახშირორქანგას ვუთხარა, — თავისი თავდასავალის მიყოლა დაეწყე.

8. მშვანე ფოთლის სხეულში

ნახშირორქანგა დამთანხმდა და ის იყო პირი დალოდ ამბის დასაწყებად, რომ უცებ ფოთლის ზედაპირიდან მის შიგნით მოვხვდით. ჩვენ ხელახლა შიშმა მოვეცივა. მე და ნახშირორქანგა ერთმანეთს ვეკეროდით, ხელს არ ვუშვებდით, მაგრამ ჩვენი სიმტკიცე უსუსტესი გამოდგა. უცებ ნახშირორქანგა რაღაცამ თავისკენ ისეთი ძალით მიიზიდა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავიკოდი. მე ერთ ხანს ფოთლის სხეულში დავრჩი. აქა-იქ მარტოკა დავეჩეტებოდა და ნახშირორქანგას ვთავაღებებოდი, მაგრამ არ ვინა და ვერ მივაგენი მის კვალს. ბოლოს იმავე გზით, რა გზითაც ფოთოლში მოვხვდი, გარეთ გამოვედი.

ამის შემდეგ მარტოდმარტო დარჩენილი მოშორილ ტყის ფოთლებს მოვიკოდი და უცებ თქვენც შევინახეთ.

დაასრულა ამბის მიყოლა ყანგაბაღამ.

— საინტერესოა! — წარმოთქვა ნახშირორქანგამ.

— საოცრება! — კვერი დაუქრა აზოტამ.

მზის სხივები უზვად ვგრძევეოდა არემარეს. ნელი სით ხანხანა ოდნავ არხვედა ხის ფოთლებს.

სამმა მეგობარმა ალუბლით დამძიმებული ხის ტოტები დატოვეს და ცის ლაყვარლი გაუჩინარდნენ.



მეფეტრებელი თვალით

სახბოთა კავშირის ხალხთა სპარტაკილის შთაბეჭდილებები

ყველა გზა ლუწვიკისავე მიღის

წამდაუწმ იცვლება ამინდი, ტყვიისფერი დრუბლები ყოველწამს წვიბით ემუქრებიან მოსკოვს. ხანდახან ჩრდილოეთის ქარი წამოუბერავს, ქალაქის ფარგლებს გაცივლებს საადრო დრუბლებს. ისევ მოიღრუბლება და წვიმს. მაგრამ სპარტაკილია დედაქალაქში და ევრც მონაწილეებს, მათთვისაც ვერც მაყურებლებს ვერ აშინებს ეს ამინდი. პირიქით, სპორტის გულშემატკივრები ამ დღეებში თავისებურ რეკორდებს ამყარებენ კიდევაც, რადგან სპარტაკილია ერთდროულად თხუთმეტ სასეობაში მიმდინარეობს, და ვინაც სურს ნახოს მძლეოსნები — „ლუწვიკე“, მოკრევეები — „დინამოე“, ტანმოვარჯიშეები — „ნორა პონერთა სტადიონე“, მოკლადეები და ძალოსნები უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზებში, მან მართლაც ზღაპრული ფრთები უნდა გამოისხას.

მოსკოვის ტრანსპორტის გრანდიოზულ ნაკადებში ამ დღეებში დიდი ცვლილებაა. სპარტაკილამ თავისკენ მიიწიდა ტრანსპორტის ყველა სახეობა, ლუწვიკისკენ მიჰქრიან ავტობუსები, ტროლეიბუსები, სამდინარო და სახმელეთო ტრამვაები, ტაქსები. ყველა გზაჯვარედინზე დიდი დაფები, ლუწვიკისაკენ გზის მარეწმებილი წარწერებით.

ნამდვილად ყველა გზა ლუწვიკისკენ მიდის. სპარტაკილის მასშტაბი და მისდამი ინტერესი ძალზე დიდია. არ დარჩენილა მოსკოვის — ამ უზარმაზარი ქალაქის ცხოვრების არც ერთი სფერო, რომ სპარტაკილადში თავისი წვლილი არ შეტანოს.

...აღიღოთ ბექვდიიხი სიტყვა. ახლობით სპეციალური კიოსკი ხავსეა წიგნებით, თურნალ-გაზეთებით, ათასგვარი პროკრამებით, სურათებით.

...ვევრდზე საკონდიტრო ნაწარმიამა გამოტანილი. ნამცხვარი, შოკოლადი — სპორტულ თემებზე, კონფეტები — „სპორტები“, შოკოლადები — „მოკლადეები“...

...იქვე სპარტაკილის ნაწარმი: სუნამო — „სპორტი“, საპანი — „სტადიონი“...

...სახოსრო განყოფილებებში: კონვერტები, მარკები, ლუწვიკისა და სპორტული თემების გამოსხტულებებით...

...ახლა ეს სამკერდე ნიშნები? ვინ მოთვლის რამდენი „როგ-ბურთელი“, „მოკრევე“, „მოკლადე“, „მშვიდობის მტრელი“ კოპონად გამოცემული სპეციალურ კოსტუმში.

ლუწვიკე ორი რესტორანი და ორასამდე სასაუზმე მუშაობს, რომლებსაც 1.000 თანამშრომელი ემსახურება.

სალიჩაზე პრინს მოჰიდლავიში

დიდ დარბაზში სამი საქმიადო ხალიჩაა გაშლილი. მათ გარშემო სპეციალურად მოწყობილი ტიბურები ხალხითაა სავსე. დარბაზში ბევრი უცხოელია, ზოგიერთი მათგანი ნაციონალურ ტანსაცმელშია გამოწყობილი, ამიტომ საერთო მაყურებლიდან მათი გამოჩენვა არ არის ძნელი. ესეც რომ არ აყოს, ყველა ჩამოსულს მკერდზე მოზარდილი სამკერდე ნიშნის აქვს წარწერით: „სტუმარი“. სტუმარია ისიც, მსაჯებთან ახლოს რომ ზის, შავი, ტანადი კაცი. მას სამი ფოტო-აპარატი აქვს მხარზე გადაკიდებული, უღებს და უღებს მოკლადეებს სურათებს. ცდილობს ყველგან მოასწროს, არ გამოჩრის არც ერთი იღეთი. როგორც შემდეგ გავიგეთ, იგი ბირმიდან ყოფილა. „ბირმიელი მოკლადეები ჯერ სუსტები ვართ, აქ სასწავლად ჩამოვედითო“, — ამბობს იგი. იმედი გაუშართლდა ბირმელ სტუმარს, საჭიდაო ხალიჩაზე შესანაშნავი მოკლადეები გამოდინა; მართკ ცალქალამანიც, ხსირტლამე, გაბარავეი, კულავეი, ან დამარცხებული, მაგრამ მიინც უძლიერესი ბალავაძე რად დირს.

ახლა ფინალური შეხვედრები უნდა დაიწყოს. მაყურებლებით სავსე დარბაზს ხალხის ახალ-ახალი ნაკადები ემატება. გაიგოს ვასახლელები. ზემოთ, აივნიც ხალხით არის დაბუნძლული. ხალიჩაზე მირიან ცალქალამანიც და ესტონელი სოლოგიფია. მირიანმა შესანაშნავად ჩაატარა წინა შეხვედრები. იგი თავის მტოკეებზე გაცილებით ძლიერად აღმოჩნდა. ვნახით ახლა რა მოხდება, ვის დარჩება ჩემპიონის წოდებით მისთვის. ბრძოლა მწვავედ იწყება. ცალქალამანიც უტებს. მოწინააღმდეგე ცდილობს გაქცეს მას და სწირად ლიებს გარეთ გადის კიდევ. გავიდა სამი წუთი.

აი, მირიანი მაღლა სწევს მოწინააღმდეგეს, ეს-ეს არის უნდა გადარდოს უკან, მაშინ სოლოვიოვი ხიდურით ვერ უშვებო. მაყურებლებმა ადგილიდან წამოიწიეს, კინრები დაიგრძელეს, და უცებ გაისმა ხართი „ოხ!“ — ცელქლანინიძემ ქვეშ მოიგდო მოწინააღმდეგე, მაგრამ გვიანდაა — მოქიდავები ხალხის ვაცცილდნენ.

